გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 68 წლისთავს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 214 (9055)
7 ნოემბერი,
ხუთშაბათი,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ამოცანა სადღეისო და სახვალიო

დღეს 7 ნოემბერია — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი დღესასწაული. ზეიმს, მოგეხსენებათ, გამარჯვებები ამშვენებს. ჩვენი ხალხი ახალი შრომითი მიღწევებით ხვდება დღესასწაულს, ღირსეულად ამთავრებს მეთერთმეტე ხუთწლედს და ხელდამშვენებული ხვდება სკკპ XXVII ყრილობას.

დღევანდელ ზეიმს წინ უძღოდა სამი უმნიშვნელოვანესი მოვლენა: გამოქვეყნდა სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის, პარტიის წესდების ცვლილებების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტები. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია პარტიისა და ხალხის ფართო პროგრამა, განსაზღვრულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. ამ ამოცანათა ხორცშესხმაში ერთ-ერთი მთავარი როლი ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას ეკისრება.

უდავო ჭეშმარიტებაა: დღეს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისთვის უაღრესად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. ამას მოწმობს თუნდაც უკანასკნელ ხუთწლედში მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება და გადაწყვეტილება. იქმნება მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სულ უფრო ფართოვდება ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მასშტაბები. ამ მოძრაობას ორი ძირითადი მიმართულება აქვს — მასობრივი, გამაჯანსაღებელი ფიზკულტურა და ეგრეთ წოდებული დიდი სპორტი. ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების პირველესი და უმთავრესი ამოცანა ყოველთვის იყო და იქნება ახალგაზრდა თაობის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ზრუნვა. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით სასიკეთო ნაბიჯებია გადადგმული. ორგანიზაციული საკითხებისადმი ახლებურად მიდგომამ, სისტემატურმა მასობრივმა ღონისძიებებმა ფიზკულტურასა და სპორტთან დაამეგობრა მოსახლეობის უფართოესი ფენები. რაც მთავარია, კვლავ გრძელდება საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა ფიზიკური კულტურის მასობრიობისთვის, ჯანმრთელობის ახალი კერების შექმნისთვის. დიახ, მთავარია არ შენელდეს ეს მოძრაობა, უფრო და უფრო მომძლავრდეს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების მაჯისცემა.

მასობრიობა, მოგეხსენებათ, თავის მხრივ საფუძვლად ედება დიდი სპორტის განვითარებას. ახლა ქართულ სპორტში, შეიძლება ითქვას, განახლების, ტალანტების ძიების პროცესი მიმდინარეობს. კომპლექსურმა საუმაწვილო შეჯიბრებებმა — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამ და ჭაბუკთა საკავშირო თამაშებმა დაგვანახვა, რომ სპორტის ბევრ სახეობაში მნიშვნელოვანი პროგრესი მოხდა. ამ ასპარეზობათა შედეგები უთუოდ დამაიმედებელია, მაგრამ სპორტული ცხოვრება წინ მიდის, ახალი მოთხოვნების წინაშე გვაყენებს. ხვალ უკაცილებით ძნელი იქნება გამარჯვება, ხვალ უფრო გამძაფრდება სპორტული კონკურენცია და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. სპორტული ორგანიზაციების უახლოესი საზრუნავი, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადაა. სწორედ ამ დიდ ასპარეზობაში შეფასდება და შეჯამდება სპორტის მუშაკთა, მწვრთნელ-სპეციალისტთა და სპორტსმენთა ნაშრომ-ნამოღვაწარი. ქართულ სპორტს გაისად დიდი და სერიოზული გამოცდა ელის და ჩვენც ინტერესითა და იმედით დაველოდებით მომავალ სტარტებს.

...წინასადღესასწაულო დღეებში არაერთი სასიხარულო ცნობა მივიღეთ ჩვენი ქვეყნის თუ უცხოეთის ქალაქებიდან. დიდ სარბიელზე თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა მოჭიდავეებმა, ხუთჭიდელებმა, ჩოგბურთელებმა, ტანმოვარჯიშეებმა, რაგბისტებმა, მოკრივეებმა, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებმა. ბევრმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ საშვიდნოემბროდ შეასრულა გეგმა-ვალდებულებები ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით. ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია რესპუბლიკის მშრომელთა მხარდამხარ ცდილობს წარმატებით გადაჭრას სადღეისო და სახვალიო ამოცანები.

პირველად!

დიდ წარმატებას მიაღწიეს „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ჭაბუკმა მოკრივეებმა (1969-1970 წწ დაბადებულნი) ტაშკენტში გამართულ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაში. პირველად ავს ასპარეზობათა ისტორიაში მათ ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვეს და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს. შეჯიბრებაში სულ 15 გუნდი მონაწილეობდა.

ჩვენმა სპორტსმენებმა პირად ჩათვლაშიც თავი ისახელეს. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიპოვეს **ხვიჩა სეთურიძემ** (46 კგ), **თევდორე კერაბოვმა** (50 კგ), **დავით კაზიშვილმა** (52 კგ) და **ნიკოლოზ ჯაჭვაძემ** (57 კგ).

ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ **იგორ მაკაროვი** (64 კგ) და **არჩილ ბიბილური** (85 კგ).

ყველაფერი ეს უთუოდ „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის (დირექტორი გურამ ხერხეულიძე) მთელი კოლექტივის (მწვრთნელები გარი ხაჩატუროვი, ოთარ რაგიმოვი, სოსო კორძახია, იური შეპეტკოვი, ალექსეი ბორტნიკოვი) თავდადებული შრომის შედეგია.

აკრობატიკა

დაღლილსაც რომ არ დაგასვენებს

შეჯიბრება დამთავრდა: გულშემატკივრები და სპორტსმენები ნელ-ნელა გაიკრიფნენ, ზოგი — გახარებული, ზოგი — უკმაყოფილო, ასპარეზობამ ყველას თავისი საფიქრალი გაუჩინა — გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც. დარბაზში მხოლოდ შეჯიბრების მდივანი და რამდენიმე მწვრთნელიღა დარჩნენ. ბილიკზე დღევანდელ შეჯიბრებაში გამარჯვებულს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს აკრობატს ფატი სულაქველიძეს მოვკარი თვალი. ჩაფიქრებული იდგა, მერე ნელ-ნელა დაიძრა მალაყის შესასრულებლად. იგრძნობოდა, რომ გოგონა რაღაცით უკმაყოფილო იყო, რომ რომელიღაც მოძრაობა არ მიაჩნდა სრულყოფილად. მერე დარბაზში საქართველოს ჩემპიონები, ბათუმელი აკრობატები სვეტლანა ვეტოჩკინა და მზია კოსტავა შემოვიდნენ.

გოგონებმა, როგორც მათმა მწვრთნელმა ნელი აფაქიძემ მითხრა, ახლახან მინსკში „შრომითი რეზერვების" პირველობაზე გაიმარჯვეს. დღევანდელ გამოსვლაში მათ ვაჟთა ვარჯიშის ელემენტიც შეიტანეს, თუმცა ხელი კი მოეცარათ. ახლა ისინი ცდილობენ გაარკვიონ, სად დაუშვეს შეცდომა.

კარგია, როცა დაღლილსაც არ გასვენებს ის აზრი, რომ მთელი ძალით ვერ იასპარეზე, რომ ცდილობ ხელახლა გაიმეორო, დააზუსტო, კიდევ უფრო დახვეწო სწორედ ის მოძრაობა, რომელიც ისე ვერ შეასრულე, როგორც გინდოდა.

სანამ შეჯიბრების მდივანი ტექნიკურ შედეგებს უკირკიტებდა, მოსწავლეთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, ასპარეზობის მთავარ მსაჯს **თამაზ ბუზიაშვილს** გავესაუბრეთ.

იხ. მე-3 გვ.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

კარპოვი — კასპაროვი

ოცდამეორე პარტია

მატჩში შექმნილი კრიტიკული სიტუაცია კარპოვს აიძულებდა მოგებაზე ეთამაშა (ტიტული რომ შეინარჩუნოს მან დარჩენილ სამ პარტიაში 2,5 ქულა უნდა მოაგროვოს) და ამიტომ თავიდანვე რთული ბრძოლის გზა აირჩია. ჩემპიონმა მეორედ მიმართა ლაზიერის გამბიტის იმ სისტემას, რომელსაც თეთრებისთვის გარკვეული პოზიციური უპირატესობა მოაქვს. კასპაროვი თავგამოდებით ცდილობდა პოზიციის გათანაბრებას, რამდენჯერმე თითქოს მიზანსაც მიაღწია, მაგრამ კარპოვი მტკიცედ ფლობდა ინიციატივას. კასპაროვმა გახსნა ცენტრალური ვერტიკალი და ლაზიერების გაცვლით პარტია ენდშპილში გადაიყვანა, მაგრამ ჩემპიონი შეტევას განაგრძობდა მეფის ფრთაზე. დროებით პაიკიც შეწირა. კასპაროვი ცაიტნოტში მოექცა და მრავალი ფიგურა გაცვალა. დაფაზე მხოლოდ ეტლები დარჩა. პარტიის გადადების წინ კარპოვმა პაიკი მოიგო და მოგების რეალური შანსი მიიღო. აი, როგორ მოხდა ეს:

1. d4 d5 2. c4 e6 3. მc3 კe7 4. cd ed 5. კf4 მf6 6. e3 0—0 7. მf3 კf5 8. h3 c6 9. g4 კg6 10. მe5 მbd7 11. მ:g6 fg 12. კg2 მb6 13. 0—0 მფh8 14. მe2 g5 15. კg3 კd6 16. ლd3 მa6 17. b3 ლe7 18. კ:d6 ლ:d6 19. f4 gf 20. ef ეae8 21. f5 მc7 22. ეf2 მd7 23. g5 ლe7 24. h4 ლe3 25. ეd1 მb5 26. ლ:e3 ე:e3 27. მფh2 მb6 28. მg3 მc8 29. მf1 ეe7 30. ეd3 მ8d6 31. მg3 მe4 32. კ:e4 de 33. ეe3 მ:d4 34. მფh3 ეe5 35. მფg4 h5+ 36. მფ:h5 მ:f5 37. ე:f5 ე8:f5 38. მ:f5 ე:f5 39. ე:e4 მფh7 40. ეe7 b5 41. ე:a7 b4. პარტია გადაიდო.

გუშინ, თამაშის განუახლებლად, კასპაროვმა თავი დამარცხებულად ცნო. ახლა მატჩის ანგარიშია 11,5:10,5 გარი კასპაროვის სასარგებლოდ. სათამაშო დარჩა ორი პარტია. კასპაროვს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ერთი ქულა სჭირდება, კარპოვს — ქულა-ნახევარი ჰყოფნის.



გუშინ თბილისის იპოდრომზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ღია ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში. ასპარეზობის პირველ დღეს სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცხენის გაწვრთნის უმაღლეს კლასში, სამანეჟო სვლასა და წინაღობათა გადალახვაში, ჩემპიონატი, რომელიც ბევრ საინტერესო სანახაობას ჰპირდება საცხენოსნო სპორტის მოყვარულებს, 10 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ციტატა

Собеседник

ბევრს მიაჩნია, რომ ქალი ვერასოდეს ითამაშებს ჭადრაკს ისე ძლიერად, როგორც მამაკაცი. მაგალითად, მსოფლიოს ექსჩემპიონი მაქს ეივე ამბობდა, რომ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ 200 წლის შემდეგ. ამიტომაც დამკვიდრდა განსაკუთრებულ ტერმინად „ქალთა ჭადრაკი". მაგრამ სამგზის მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, რომელიც საერთაშორისო დიდოსტატია ვაჟთა შორისაც, იმ აზრის გაზიარებით, რომ ქალთა ჭადრაკი ცალკე არ არსებობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ყოველკვირეულ ილუსტრირებულ დამატება „სობესედნიკში" (№ 42) დაიბეჭდა საუბარი დიდოსტატ ქალთან. ინტერვიუ აიღო ჟურნალისტმა ალექსანდრე ჩურკინმა.

აი, ერთი ციტატა მაიას პასუხებიდან:

ჯერჯერობით ქალები ვაჟებზე სუსტად თამაშობენ. დიახ ასეა, მაგრამ ჩემი აზრით, დადგება დრო, როცა ისინი ერთნაირი ძალით ითამაშებენ. და ეს მოხდება არა XXII საუკუნეში, არამედ უფრო ადრე. რატომ ვფიქრობ ასე? როგორ აგიხსნათ... გემახსოვრებათ, არც ისე დიდი ხნის წინათ ამბობდნენ, რომ ქალი ვერ გაფრინდება კოსმოსში, ვერც შეძლებს მართოს მატარებელი. ხომ შეძლეს ეს, და არცთუ ცუდად, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა? ასე მოხდება ჭადრაკშიც. ჭადრაკში სპორტი მხოლოდ ერთი მესამედია, ორი მესამედი კი ხელოვნება და მეცნიერებაა. მეცნიერებაში უკვე გავთანაბრდით. ახლა არავის მოუვა აზრად, ვთქვათ, ფიზიკა გაყოს ქალთა და ვაჟთა ფიზიკად. ასეა ხელოვნებაშიც. ინტუიცია ქალებს უფრო მახვილი აქვთ, ვიდრე ვაჟებს.

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

მანეკენებად არ უნდა ვიქცეთ

ჩვენს დღევანდელ სტუმარს მკითხველის წინაშე საგანგებო წარდგენა არ სჭირდება. ქალბატონი ეთერ ბუზღუშვილი — საზოგადო მოღვაწე, თეატრმცოდნე, საინტერესო წიგნების ავტორი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, მსახიობთა და თეატრალურ მოღვაწეთა აღმზრდელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, სხვათა შორის, სპორტის თაყვანისმცემელიც ყოფილა.

● **ქალბატონო ეთერ, მოგეხსენებათ, ჟურნალისტები ცნობისმოყვარე ხალხია. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ორ ღმერთს ემსახურება.**

— უკაცრავად, მაგრამ ვერ მიგიხვდით...

● **ამბობენ, სპორტის დიდი ტრფიალი ბრძანდებით თურმე...**

— ოო, ცოდვა გამხელილი სჯობს, ეს ფენომენი ისევე მხიბლავს, როგორც ხელოვნება. პატარაობისას ფიზკულტურის მასწავლებელი ხშირად მეტყოდა ხოლმე: შენი ერთადერთი მოწოდება სპორტია, შენგან მშვენიერი ტანმოვარჯიშე დადგებაო. როგორც ჩანს, მის წინასწარმეტყველებას ახდომა არ ეწერა. ერთხელ, ვარჯიშისას მუხლი დამიშავდა, იმდენად სერიოზულად, რომ განგებამ ჩემს მაშინდელ ოცნებას და, ასე ვთქვათ, მომავალ სპორტულ კარიერასაც სამუდამოდ ჩამოაფარა ფარდა.

● **თქვენ ახლა ცურვას უფრო სწყალობთ — სანაპიროზე მდებარე ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის ხშირი სტუმარი ბრძანდებით. ამით ალბათ, ბავშვობისდროინდელ ოცნებას უხდით ერთგვარ ხარკს, არა?**

— ცურვას ჩემს ოცნებასთან არანაირი კავშირი არა აქვს, იგი მხოლოდ მასტიმულირებელი, დახარჯული ენერგიის აღდგენის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება გახლავთ. მოგეხსენებათ, ხელოვნება ადამიანისაგან უდიდეს გონებრივი, სულიერი და, თუ გნებავთ, ფიზიკური ძალის ხარჯვას მოითხოვს, რაც სპორტის, ფიზკულტურის გარეშე დღეს თითქმის შეუძლებელია.

● **ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ არაფერი ისე არ ფიტავს და ანადგურებს ადამიანს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა. დიახ, სპორტი რომ სიცოცხლის უპირველესი ელექსირია, ამაზე დღეს აღარავინ დავობს, მაგრამ, სამწუხაროდ, სოციოლოგები იძულებულნი არიან დროდადრო მაინც ასტეხონ განგაში.**

— მეცნიერება ვითარდება, მაგრამ ტექნიკური პროგრესის მიერ მოტანილმა სიკეთემ ადამიანი კომფორტის მონად არ უნდა აქციოს. მოძრაობის ხელოვნური შეზღუდვა არა მარტო დაუდევრობა, არამედ დანაშაულიც, რადგან იგი ორგანიზმში მთელ რიგ ფიზიოლოგიურ ძვრებს იწვევს, რაც ადვილი შესაძლებელია გენებით შთამომავლობაზეც გადავიდეს. სიჩაუქე, სისხარტე — ის, რაც ბუნებამ მოგვამადლა, ქარს არ უნდა გავატანოთ, არ უნდა დავჩიავდეთ, მანეკენებად არ უნდა ვიქცეთ. შეიძლება ზოგმა გაიკვირვოს კიდეც: რატომ ცხარობს თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, ეს ხომ მის კომპეტენციაში არ შედისო. შეიძლება არც ტყუოდნენ ამგვარი ოპონენტები, მაგრამ მე მაინც გავიმეორებ — მოძრაობასთან, სპორტთან მწყრალად მყოფი ადამიანი, ჩემის აზრით, არტახებშეკრული ბავშვივით უსუსურია. იგი არც სცენაზე ივარგებს და არც სხვაგან, ბოლოსდაბოლოს, ივანე თარხნიშვილის თქმისა არ იყოს, ადამიანისთვის სირცხვილიცაა 100 წელზე ადრე მოკვდეს...

● **თქვენ მსახიობი ახსენეთ. ძალიან რომ არ დავცილდეთ თქვენს სფეროს, ასეთ კითხვას დაგისვამთ. როგორც ძველი ელინები ამბობდნენ, ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სულია. დიდი მსახიობი წარმოუდგენელია ფაქიზი სულის გარეშე. ამ ძველთაძველ სენტენციას ხომ არ დაუკარგავს ძალა?**

— რასაკვირველია, სულიერი და ფიზიკური ძალისხმევის გარეშე წარმოუდგენელია მომავალი მსახიობი. მხოლოდ სულით „დამძიმებულ" ადამიანს თეატრის კედლები ვერაფრით ვერ იგუებს, ამიტომაც მომავალ მსახიობთა შერჩევისას დიდ ყურადღებას ვუთმობთ მათ ფიზიკურ მონაცემებს, გარდა ამისა, რიტმის გრძნობას, სცენაზე მოძრაობის უნარს, პლასტიკურობას.

● **როგორ ფიქრობთ, დიდი მსახიობი უფრო იშვიათია თუ დიდი სპორტსმენი?**

— ჩემი აზრით, ორივე იშვიათია.

● **პირადი მეგობრობა თუ გაკავშირებთ სპორტსმენებთან?**

— კარგი ურთიერთობა მქონდა ნინო დუმბაძესთან, ახლა ასევე კარგი ურთიერთობა მაქვს ელენე გოკიელთან — სპორტში ორივე ჩემთვის იდეალებად რჩებიან.

● **ერთხელ ტალმას მეგობარმა უთხრა — „დღეს შენ გადასარევად თამაშობდი, რა ხმა გქონდა, რა მოძრაობა, რა განცდა. საიდან იძენ ყოველივე ამას?" ტალმამ მეგობარი ავანსცენასთან მიიყვანა და თითი პარტერისკენ გაიშვირა — „აი საიდანო!" მახსოვს, მსგავსი კითხვა დავუსვი მანუჩარ მაჩაიძეს და მანაც იგივე მიპასუხა. როგორ ფიქრობთ, რა აქვთ ხელოვნებასა და სპორტს საერთო?**

— გაიხსენეთ ახლო წარსულში ჩვენი „დინამოს" მიერ გამართული „იმპროვიზებული სპექტაკლები", დავით ყიფიანის ინტელექტუალური, ფილიგრანულ ხელოვნებამდე ასული თამაში და ამ კითხვაზე თავად უპასუხებთ.

პირადად მე, როცა დათოს თამაშს ვუცქერდი, მისი აზროვნება, ბურთის ჟონგლიორული ფლობის უნარი არტისტიზმის საუცხოო გამოვლინებად მიმაჩნდა. ვერც დიდი მსახიობი და ვერც დიდი სპორტსმენი წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოებში ვერ მოთავსდებიან, ისინი ყოველ სპექტაკლსა და მატჩზე ახლად იბადებიან. ამისთვის კი ორივეს „დემონი" გულის სისხლს მოითხოვს და თუ ეს დაიშურე, მაყურებელი არ გაპატიებს.

● **სულ ახლახან გამომცემლობა „ხელოვნებამ" გამოსცა თქვენი წიგნი „ბესო ჟღენტი", იქნებ ერთი ეპიზოდი მაინც გვიამბოთ სპორტთან ბესოს კონტაქტების შესახებ?**

— სიამოვნებით, მაგრამ... ბატონ ბესოს სპორტთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდა. ფეხბურთზე მხოლოდ ერთხელ იყო, ისიც მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრების მსახიობთა მატჩზე, თუმცა კი ჩვენი სპორტსმენების წარმატება გულით უხაროდა. განსაკუთრებით უყვარდა ნონა, აღაფრთოვანებდა ქართული საჭადრაკო სკოლის ალმასვლა. მის არქივს დღემდე შემორჩა ერთი საინტერესო ფოტოსურათი, რომელზეც ბესო და ნონა გვერდისგვერდ დგანან.

● **ვიცი, თავისუფალი დროის პრობლემა თქვენთვისაც მწვავე იქნება, მაგრამ როცა კი გრჩებათ, როგორ იყენებთ მას?**

— ვიხელთებ თუ არა დროს, მივდივარ სპექტაკლზე ან კინოში... ეს ჩემთვის გართობაცაა და საქმეც. რაც შეეხება ცურვას, იგი დასვენების, განტვირთვის უებარი საშუალებაა. დანარჩენ დროს შვილიშვილებთან, ჩემს პატარა ბესოსთან, მარიკასთან და ქეთინოსთან ვატარებ.

● **ალბათ გაღელვებთ მათი მომავალი...**

— ყველა ადამიანი თავის მომავალს თვითონ ქმნის. მარიკას, ვატყობ, სურს ხელოვნებას ემსახუროს. ქეთი ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ თავდავიწყებით უყვარს ჩოგბურთი... ვნახოთ!

● **მადლობას გიხდით საუბრისათვის. რას უსურვებდით სპორტსმენებს და მათ ასიათასობით გულშემატკივარს?**

— ჯანმრთელობას, სიხარულს, გამარჯვებებს!

ესაუბრა
გონდო ქურდაძე.

მომავალში უკეთ

საქართველოს განათლების სისტემის სპორტული ორგანიზაციები მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადის დამთავრებისთანავე, ე. ი. შარშანვე შეუდგნენ მზადებას მომავალი სპარტაკიადისათვის, რომელიც 1987 წელს უნდა გაიმართოს.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ განათლების სამინისტროში შექმნილია ოპერატიული შტაბი, რომელიც თავის სხდომაზე რეგულარულად განიხილავს სპარტაკიადისთვის მზადების საჭირბოროტო საკითხებს.

ამ შტაბის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდნენ მოფარიკავეთა და ძალოსანთა ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები. ითქვა, რომ ამ სახეობათა ნაკრები გუნდები სპარტაკიადისთვის მზადებას, პერსპექტიული გეგმის მიხედვით, 1984 წლის ნოემბრიდან შეუდგნენ. ნაკრების კანდიდატები ჯერჯერობით თავიანთ ბაზებზე ვარჯიშობენ, ერთობლივი სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები კი მათთვის მომავალი წლიდან ჩატარდება. მოფარიკავეთა და ძალოსანთა ნაკრები გუნდების კანდიდატები მწვრთნელებმა რამდენიმე რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში გამოსცადეს. მაგალითად, ჭაბუკმა მუშკეტერებმა საკავშირო ტურნირში იასპარეზეს და, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. მაგრამ, როგორც სხდომაზე ითქვა, მათი სპორტული ოსტატობის დონე ჯერ კიდევ დაბალია, ისინი ძირითად კონკურენტებს ჩამორჩებიან როგორც ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებით, ისე სატურნირო გამოცდილებით.

მოსამზადებელ პერიოდში ამ ნაკლოვანებებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა. მწვრთნელები ვარაუდობენ, რომ ჩვენი ნორჩი მოფარიკავეები და ძალოსნები მომავალ სპარტაკიადაზე უკეთ იასპარეზებენ.

გია ბიძიშვილი.

ქართული სპორტი 100 წლის წინათ

რას გვიამბობს პეტერბურგელი სტუდენტი

ჟურნალ „ივერიაში" (1885 წ. № 1) მივაკვლიეთ ერთ ვრცელ წერილს სათაურით: „ქართველთ ძველებური საერთო გართობა-ასპარეზობანი", რომელსაც ხელს აწერს ვინმე „პეტერბურგელი სტუდენტი".

წერილში ავტორი მიმოიხილავს იმ დროს გავრცელებულ სპორტულ თამაშებს: ჭიდაობას, ცხენოსნობას, ჯირითობას, ბურთაობას. ამ უკანასკნელს თეიმურაზ მეფე რადრაბაგანს უწოდებდა. აი, რადრაბაგანის მისეული აღწერა:

„ერთი არის სხვა ბურთობა,
რადრაბაგანს უძახიან,
გადრთის ბურთის უფრო ესე,
ზნეობაში ჩააგდიან.
ბევრს (კია) კი არა, სამს-ოთხს
კარგსა მებურთალსა შეიდრიან,
და ოთხისათვის სათამაშოდ ბურთი
მიწას გააგდიან.
ის არის, ვინც რომ ცხენს მალეთ
ბურთი აიღოს ჩოგნითა,
უნდა შეიგდოს მან მაღლა
ცხენისა თამაშობითა.
რომ ჩამოვიდეს, ხელფიცხად
მიუხდეს კაის ცოდნითა,
და რა ბურთი შეხტეს, შემოჰკრეს
ხელრადათ მაღლა ტყორცნითა.
ბურთი შეიგდოს, ეცადოს მერმე
ფეშრების ქსნასადა,
სანამ ჩამოვა, დაასწრებს
ჩოგნისა შეგდებასადა.
ჩოგნისა ქათალმალუჲი კვრამდინა
დაასწრავსადა
და ის ჩამოვა სამჭერა ზედი-ზედ
თუცა კრავსადა".

როგორც „პეტერბურგელი სტუდენტი" აღნიშნავს, სპორტული თამაშობებიდან ყველაზე პოპულარული ჯირითი ყოფილა. იგი ძლიერ იტაცებდა თურმე საზოგადოებას. ბურთაობა დიდ სადღესასწაულო დღეებში იმართებოდა, კერძოდ „ქალაქობის" ზეიმისას. საბურთაო მოედნად ტრიალ, ფართო და გრძელ მინდორს ირჩევდნენ. ადგილი წერილიდან: **„საბურთაოდ გამზადებულ ხალხით აივსო მინდორი. ცოლიანი უცოლოს დასცინის და უცოლო ცოლიანს. „ბიჭებიც არ ვიქნებით თუ თქვენ ხელი არ აგაღებინეთ თქვენს ცოლებზე" ემასხარება უცოლო ცოლიანს! — „ისეთ საქმეს გიზამთ, რომ თქვენს დღეში ქალი არ წამოგყვესთ!" — უპასუხებს ცოლიანი".**

საქართველოში ჭიდაობასა და კრივს დიდ პატივს სცემდნენ. ჭიდაობა ერთი უძველესი გართობათაგანი ყოფილა. გავიხსენოთ: ქართულ ხალხურ ზღაპრებში დევებს და სხვა არაჩვეულებრივ არსებებს ერთი ჩვეულებრივი კაფანდარა კაცი ეჭიდება და მაინც, დევს ყოველთვის კაცი სჯობნის.

„პეტერბურგელის" წერილში ჭიდაობა შედარებულია ორთაბრძოლასთან. პირველი უფრო ძველი უნდა იყოს მეორეზე. ისინი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ „ორთაბრძოლაში" იარაღით იბრძვიან, ჭიდაობაში კი იარაღის გარეშე.

ქართული ჭიდაობისადმი რომ ყველა ცხოველ ინტერესს იჩენდა, ამაში გვარწმუნებს ის, რომ ჭიდაობის დროს დანიშნულ ადგილას სახელგანთქმული ფალავნების ბრძოლების საცქერლად აუარებელი ხალხი იყრიდა თავს. მოჭიდავენი ყოველი კუთხიდან ჩამოდიოდნენ თავიანთ მხარის დამჭერებთან ერთად. ამ თავისებური „ამალის" წარმომადგენლები ყველანაირად ამხნევებდნენ თავიანთ ფალავნებს და შემწეობასაც უწევდნენ მათ.

„პეტერბურგელი სტუდენტი" თავის წერილში მკითხველს შესანიშნავად უხატავს ორმოციანი წლების სურათს, კერძოდ, აცნობს, თუ როგორ აღწერს „კავკაზი" სხვადასხვა კუთხის მოჭიდავეთა პაექრობას.

რაც შეეხება კრივს, სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით იგი იმთავითვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა თურმე ჩვენში. იმ დროისათვის ორი სახის კრივი ყოფილა გავრცელებული: მუშტი კრივი და სარდათური კრივი, შეჯიბრებები მუშტი კრივში ზაფხულობით პირდაპირ ქალაქის ქუჩებში იმართებოდა თურმე, სარდათურ კრივში კი უფრო ზამთრობით. ქალაქგარეთ მართავდნენ ასპარეზობებს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გართობა კარგად ჰქონია აღწერილი თავის ბიოგრაფიაში დავით იოსების ძე ბებუთაშვილს.

„როცა კრივი ქალაქში გაიმართებოდა, მაყურებლები, ქალი და კაცი, ადიოდენ სახლების სახურავზე, ავსებდნენ ბანებს და იქიდამ შესცქეროდენ ომს და ამხნევებდნენ გამბედავ მებრძოლთ თანაგრძნობის აღმოჩენით" — იმოწმებს ბებუთაშვილს **„პეტერბურგელი სტუდენტი".**

კრივს განსაკუთრებით ახალგაზრდობა მისდევდა თურმე, არც არის გასაკვირი — ქართველ ქალს, რა თქმა უნდა, ერთი-ათად მოეწონებოდა ის ვაჟი, რომელიც კრივში გაიმარჯვებდა და სახელს გაითქვამდა.

კრივით გატაცებას ერთი დიდი სარგებლობა მოჰქონდა: ქართველი კაცი ბავშვობიდანვე იწვრთნებოდა საბრძოლო ხელოვნებაში, სიმარდისა და სისწრაფის გამომუშავების შედეგად იძენდა ყველა იმ თვისებას, რაც ასე საჭირო იყო თავდაცვისათვის.

სარდათური კრივის შესახებ „პეტერბურგელი სტუდენტის" წერილში ვკითხულობთ:

„სარდათის კრივში ომს იწყებდნენ შურდულებით, რომლებითაც ესროდენ ქვებს თავის მოწინააღმდეგეთ. შურდულები პატარანი იყვნენ, უფრო სათამაშონი, და არა იმგვარნი, როგორთაც ხმარობდნენ საომრად მავალი ძველი ხალხნი".

მეშურდულენი, თოფჩების მსგავსად, მტრის რაზმებში ჯერ ცოტაოდენ არეულობას მოახდენდნენ, შემდეგ მეხმლენი დაწინაურდებოდნენ და ხელდახელ დაერეოდნენ მათ. კრივს წარჩინებული პირნი და რუსი მხედართმთავრებიც ესწრებოდნენ, ისეთნი, როგორებიც იყვნენ თავადები: ციციანოვი, ვორონცოვი და სხვანი.

უმთავრესი სარდათური კრივები ყველიერში ყეენობის დროს იმართებოდა. აი, რას ვკითხულობთ „პეტერბურგელი სტუდენტის" წერილში:

„ყეენობა. ყველიერის ორშაბათს დილა ადრიანად ქალაქის ორთავე ნაწილებში აირჩევდენ თითო ყეენს, მოჰრთავდენ იმათ მდიდრულად და დასვამდენ ტახტზე, გამოჩენილ ადგილას, სადმე ჭვარედინს გზაზე. აქედამ ეს ვითომ ყეენები ადვილად ხედავდენ ყველა გამვლელს და გამომვლელს".

თითოეული ყეენისათვის ცალცალკე მდიდრულად მორთული ცხენები ეჭირათ ქუჩაში, აქვე ახლოს იყვნენ ყეენის ჯარის რაზმები, რომელთაც ქუჩების სახელები ერქვათ.

თითოეულ რაზმს წინ სახელგანთქმული მოკრივე მიუძღოდა. ყეენის ბრძანებით, ყოველ გამვლელს, რომელიც მათს უბანს არ ეკუთვნოდა, ხარკს ახდევინებდნენ. მებაირაღე და მისი რამდენიმე თანაშემწე იმ გამვლელისაკენ მირბოდნენ, ვისკენაც ყეენი მიუთითებდა. ბრძოლები ქუჩებში იმართებოდა.

„პეტერბურგელი სტუდენტი" იხსენებს სოლოლაკს: **„იმ დღეს, რომელზედაც მე ვლაპარაკობ, ბრძოლა დანიშნული იყო სოლოლაკში. ჩვენი ყეენი წინ მიდიოდა ცხენით: იმას გარშემორტყმული ჰყავდა თავისი წარჩინებული პირები და მის წინ მიჰქონდათ ბაირაღები, ყოველი ქუჩიდამ თითო".**

100 წლის წინათ ჟურნალ „ივერიაში" დაბეჭდილი „პეტერბურგელი სტუდენტის" ვრცელი წერილი გვარწმუნებს, რომ ქართველი საზოგადოება სპორტული სანახაობების მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ სპორტი საქართველოში ოდითგან ჰყვარებიათ.

ლევან კარბელაშვილი.

ონდო მარიდაშვილი

დაღლილსაც რომ არ დაგასვენებს

(დასასრული)

— საქართველოს კომკავშირის თასისთვის ჩატარებული დღევანდელი შეჯიბრებით ჩვენმა აკრობატებმა ფაქტიურად საბჭოთა კავშირის ხალხთა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებისთვის დაიწყეს მზადება,—გვითხრა მან. — ამიტომ იყო, რომ შეჯიბრებაში უფრო 1967 წელს და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, სწორედ ისინი, ვისაც სპარტაკიადაზე მოუწევს გამოსვლა. გუნდები ძირითადად მოსწავლე-აკრობატებით იყო დაკომპლექტებული. შეჯიბრებაში ჩაება ყველა, ჩვენი უძლიერესი ოთხეულისა და სამეულის გარდა.



ლხაზ ბერემელაშვილი და სოსო თუთბერიძე.

● მოზარდებში თუ შეამჩნიეთ საიმედო მომავლის მქონე სპორტსმენები?

— ამაზე ნაადრევია ლაპარაკი, თუმცა ორი მონაწილე შემიძლია დავასახელო. ესენი არიან ალექსანდრე თედეევის აღსაზრდელები, მხტომელები ჯონდო მარიდაშვილი და როლანდ მეტრეველი. ჯონდომ უკვე ბევრ შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი, როლანდისაგან კი მომავალში ველით წარმატებებს. უნდა ითქვას, რომ აკრობატიკის ქართულმა სკოლამ უკვე მოიხვეჭა სახელი, მაგრამ დასანანია, რომ პერიფერიებში (რუსთავის გარდა) სათანადო ინტერესს არ იჩენენ ამ სახეობის მიმართ. მაგალითად, აფხაზეთი ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ, სისტემატურად აწვდიდა რესპუბლიკის ნაკრებს აკრობატებს, დღეს კი რატომღაც მდგომარეობა შეიცვალა. მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ სახეობის განვითარებას სამხრეთ ოსეთის სპორტკომიტეტის მესვეურებმაც. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაზე მათ საერთოდ არ გამოუგზავნიათ თავიანთი წარმომადგენელი. კიდევ ერთი მინდა მოგახსენოთ: ზოგიერთი მწვრთნელი ისეა გაყოყოჩებული, სიმართლე გითხრათ, ღიმილსაც კი იწვევს. გამოცდილების გაზიარება რატომღაც საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნიათ. არადა, უამისოდ წინსვლა როგორ მოხერხდება? — დასძინა თამაზ ბუზიაშვილმა.

ჯემალ კახრაძე.

ტექნიკური შედეგები:

გოგონები.

ხტომები. სპორტის ოსტატობის პროგრამით. 1. ფატი სულაქველიძე — 46,72; 2. თამარ მაჭავარიანი —43,25; სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. ირმა გურგენიძე — 45,05 (სამივე —თბილისი). წყვილები. სპორტის ოსტატობის პროგრამით. 1. ლალი მელაძე, თინა ვარდიძე — 44,55 (თბილისი); 2. ნატაშა ვეტოჩკინა, მზია კოსტავა — 44,42 (აჭარა); 3. ირინა იურასოვა, ვიოლეტა კვიციანი — 42,75 (აფხაზეთი).

სამეულები. სპორტის ოსტატობის პროგრამით. 1. ქეხო მაისურაძე, ლალი ჩოხელი, ირმა ჩოფური — 45,12 (თბილისი); 2. ჯამილა შანავა, ნონა შანავა, დალი ბერიძე—44,25 (აჭარა); 3. ოსტატობის კანდიდატობის პროგრამით. შორენა ახათიანი, ვერა კოხრეიძე, თეა გაბელაშვილი — 43,44 (ქუთაისი).

ჭაბუკები. ხტომები. სპორტის ოსტატობის პროგრამით. 1. ჯონდო მარიდაშვილი — 46,62; 2. როლანდ მეტრეველი — 44,73; 3. ირაკლი სეხნიაშვილი — 42,12 (სამივე — თბილისი). წყვილები. სპორტის ოსტატობის პროგრამით. 1. მალხაზ ბერემელაშვილი, სოსო თუთბერიძე — 44,36 (თბილისი); 2. დავით ხამუნაშვილი, ალექსანდრე ტოლინჯიშვილი — 40,3 (რუსთავი); 3. I თანრიგის პროგრამით. ვახტანგ კახიძე, ჯაბა ლომთაძე — 32,6 (ქუთაისი).

. ფატი სულაქველიძე

ჯგუფური ვარჯიში. სპორტის ოსტატობის კანდიდატობის პროგრამით. 1. თამაზ მღებრიშვილი, აკაკი საბაშვილი, რამაზ ბუზიაშვილი, როინ სომხიშვილი — 44,26; 2. ზაზა ჯაბაშვილი, ალექსანდრე კოსტანოვი, ზურაბ ვანიევი, რომან სომხიშვილი 42,59 (ყველა — თბილისი); 3. I თანრიგის პროგრამით. გოჩა ფერაძე, ნურადინ ბინიატოვი, თამაზ გოგიძე, მირიან ტოკლიკიშვილი — 23,6 (რუსთავი);

შერეული წყვილები. სპორტის ოსტატობის პროგრამით. 1. ნიკოლოზ ნაჭყებია, ელენე მიგავა — — 44,6; 2. იაშარ ზეინალოვი, სვეტლანა ტოლინჯიშვილი — 44,22 (ყველა — რუსთავი); 3. I თანრიგის პროგრამით. არტურ ბალადიანი, სუსანა ტახტაჯიანი — 33,96 (აფხაზეთი).

გუნდური. 1. თბილისი — 752,79; რუსთავი — 594,4; 3. აფხაზეთი — 459,622.

I ლიგა

5 ნოემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 21-ე ტურის მატჩები „ა“ ჯგუფის გუნდებს შორის.

ბათუმის დინამოელები სტავროპოლში შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებს და მარცხი განიცადეს ანგარიშით 1:4.

სხვა მატჩები: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — ცსკა 1:2, ასკ (ხაბაროვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი)— ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:2, „დაუგავა“ (რიგა) — შინიკი (იაროსლავლი) 4:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ნოემბრისთვის

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა“	40	23	12	5	71-29	58
ცსკა	39	19	13	7	73-36	50
„პამირი“	39	19	10	10	52-36	48
ასკ „კარ.“	39	18	13	8	57-40	48
„კოლოსი“	39	19	6	14	48-46	44
„შინიკი“	40	15	14	11	50-49	42
„ლოკომ.“	39	15	9	15	46-48	39
ასკ ხ.	39	15	9	15	55-61	39
„როტორი“	39	14	11	14	57-53	39
„კოტაიკი“	39	16	5	18	51-56	37
„დინამო“ ბ.	40	13	8	19	54-68	34
„დინამო“ სტ.	40	12	6	22	33-54	30

* * *

I ლიგის საგზურებისთვის

გრძელდება 12 გუნდის ტურნირი, რომლებიც იბრძვიან გაისად I ლიგაში მონაწილეობისთვის.

I **ჯგუფი.** „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „სოხიბკორი“ (ხალკაბადი) 2:0, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:1.

II **ჯგუფი.** „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 3:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1.

III **ჯგუფი.** „დინამო“ (ბრიანსკი) — „მელიორატორი“ (ჩიმკენტი) 3:3, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 0:0.

მახარაძის „მერცხალი“ მორიგ მატჩს თავის სტადიონზე ჩაატარებს 8 ნოემბერს. იგი მიიღებს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„როსტსელმაში“	2	2	0	0	7-0	4
„ზვეზდა“ ჯ.	2	1	0	1	2-6	2
„ტავრია“	2	0	1	1	1-2	1
„სოხიბკორი“	2	0	1	1	0-2	1

II ჯგუფი

„ატლანტასი“	2	2	0	0	5-2	4
„მერცხალი“	2	1	0	1	3-3	2
„კრ. სოვეტოვი“	2	0	1	1	2-3	1
„ზვეზდა“ პ.	2	0	1	1	1-3	1

III ჯგუფი

„ისკრა“	2	1	1	0	1-0	3
„დინამო“ ბრ.	2	0	2	0	5-5	2
„გეოლოგი“	2	0	2	0	2-2	2
„მელიორატორი“	2	0	1	1	3-4	1

* * *

გმირის სახელობისა

ბათუმი. **ტელეფონით ჩვენი კორ.** საქართველოს ალკკ ბათუმის კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭოს თაოსნობით უკვე რამდენიმე წელია სისტემატურად ეწყობა საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჯინჭარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

წლეულს ასპარეზობაში მონაწილეობენ 1968-69 წლებში დაბადებული ჭაბუკები. პირველობისათვის ხუთი გუნდი იბრძოლებს: ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადის „პირინი“, მოსკოვის „სმენა“, ქუთაისის „ნორჩი სტადიონელი“, გორის „დილა“ და ბათუმის „დინამო“. შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართება.

გთავაზობთ პირველი დღის შედეგებს: „სმენა“—„ნორჩი სტადიონელი“ 0:0, „დინამო“ — „დილა“ 2:1 (ბათუმელთაგან თავი გამოიჩინეს გოგიტიძემ და მაჩუტაძემ, გორელთაგან — ხორგუაშვილმა). I ტურში ბულგარელი ჭაბუკები არ თამაშობდნენ.

ასპარეზობა 10 ნოემბრამდე გასტანს.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო შეხვედრები I ჯგუფის დასავლეთ ზონის გუნდებს შორის.

„ბახმარო“ (ჩოხატაური) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 4:3. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ჭიქაშუა-2, კუტალაძე, ქღენტი („ბახმარო“), კერესელიძე-2, ონიანი („შადრევანი“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 2:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: ტიბუა-2 („დინამო“), ქველაძე („მალაროელი“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „დინამო“ (გაგრა) 3:1. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი). გოლები: ლატარია, გვიჩიანი, ქომეთიანი („კოლხეთი“), კვარაცხელია („დინამო“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მზიური“ (გალი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: სილაგაძე-2 („საპოვნელა“).

„მალაროელი“ (ჭიათურა) —„კოლხეთი“ (ხობი) 2:1. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლები: სევასტოპულო-2 („მალაროელი“), სამხარაძე („კოლხეთი“).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „სულორი“ (ვანი) 1:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: ჩიქობავა, („ეგრისი“), ორმოცაძე, ვერულაშვილი („სულორი“.)

გააფრთხილეს „სულორის“ ფეხბურთელი თ. სულაბერიძე.

„სქური“ (წალენჯიხა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 5:4. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).

„მზიური“ (გალი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ოსტროვსკი-2, ზაქარაია, კვეკვესკირი („მზიური“), ციმაკურიძე („სამეგრელო“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: გუჩუა, ქობალია („ამირანი“), ლოსაბერიძე („საპოვნელა“).

„მზიური“ (გალი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი). გოლები: ზაქარაია, ოსტროვსკი, კვეკვესკირი („მზიური“), შიოლაშვილი, სამხარაძე („კოლხეთი“).

„დინამო“ (გაგრა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი). გოლები: სართანია, თუთბერიძე.

„მალაროელი“ (ჭიათურა)—„სქური“ (წალენჯიხა) 1:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი). გოლები: ბრეგვაძე („მალაროელი“), აფხაზავა, აბრალავა („სქური“).

საქართველოს პირველობა

გააფრთხილეს „მალაროელის“ ფეხბურთელი ა. სევასტოპულო.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი). გოლები: სიუკაევი („მეტალურგი“), ჭიქაშუა („ბახმარო“).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 6:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: კერესელიძე-3, ონიანი, სვანაძე, გვაძაბია („შადრევანი“), დარასელია („ეგრისი“).

„სულორი“ (ვანი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 2:1. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი). გოლები: სულაბერიძე, ვერულაშვილი („სულორი“), ხუნდაძე („იმერეთი“).

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

დასავლეთი ზონა

საბოლოო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შადრევანი“	28	15	4	9	58-37	34
„სულორი“	28	13	4	11	50-38	30
„მეტალურგი“	28	13	4	11	48-46	30
„ეგრისი“	28	12	4	12	38-46	28
„ამირანი“	28	11	6	11	51-40	28
„იმერეთი“	28	11	6	11	45-44	28
„დინამო“ ზ.	28	11	6	11	47-47	28
„დინამო“ გ.	28	11	6	11	42-47	28
„ბახმარო“	28	11	6	11	34-45	28
„სამეგრელო“	28	12	3	13	39-42	27
„კოლხეთი“	28	11	5	12	46-45	27
„სქური“	28	11	5	12	53-61	27
„საპოვნელა“	28	10	7	11	35-32	27
„მზიური“	28	11	4	13	50-55	26
„მალაროელი“	28	10	4	14	41-52	24

ამრიგად, დასავლეთ ზონაში ქულათა თანაბარი რაოდენობა (27-27) დააგროვეს ჩხოროწყუს „სამეგრელომ“, წალენჯიხის „სქურმა“, ხობის „კოლხეთმა“ და თერჯოლის „საპოვნელამ“. დებულების შესაბამისად ეს ოთხი გუნდი თბილისში წრიული სისტემით გამართავს დამატებით ტურნირს. ამ ტურნირში პირველ 3 ადგილზე გასული გუნდები საგაისოდ შეინარჩუნებენ პირველ ჯგუფში თამაშის უფლებას, ხოლო, ბოლო, მეოთხე ადგილზე გასული გუნდი გადაინაცვლებს მეორე ჯგუფში.

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

საბოლოო მდგომარეობა

„ბახტრიონი“	26	19	6	1	66-19	44
„ალაზანი“	26	19	4	3	56-16	42
„ალგეთი“	26	13	11	2	59-31	37
„იმედი“	26	14	3	9	52-33	31
„კოლმეურ.“	26	12	6	8	38-24	30
სპი თბ.	26	11	4	11	58-49	26
„თრიალეთი“	26	11	3	12	41-43	25
„გარეჯი“	26	8	6	12	33-50	22
„სამგორი“	26	8	6	12	31-57	22
„გარისი“	26	8	5	13	34-48	21
„მაშავერა“	26	8	5	13	31-61	21
„აკრიანი“	26	7	7	12	42-54	21
„იორი“	26	6	4	16	36-56	16
„ქიზიყი“	26	1	4	21	30-66	6

თბილისში ამ დღეებში გაიმართა თეთრი წყაროს „გარისის“, მარტყოფის „აკრიანისა“ და დმანისის „მაშავერას“ დამატებითი ტურნირი II ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად. ჩატარებული მატჩების შედეგად თეთრი წყაროს „გარისი“ და მარტყოფის „აკრიანი“ გაისად კვლავ II ჯგუფში ითამაშებენ, ხოლო მაშავერას „დმანისი“ ზონალურ ტურნირში გადაინაცვლებს.

* * *

ხვალ, 8 ნოემბერს თბილისის სტადიონებზე შედგება საქართველოს 1985 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები, რომლებმაც უნდა გამოავლინონ საპრიზო ადგილების მფლობელნი.

თბილისის არმიის სპორტკლუბის სტადიონზე III საპრიზო ადგილებისთვის ერთმანეთს შეხვდებიან „შევარდენი“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი). დასაწყისი 12 საათზე.

8 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართება მატჩი, რომელმაც უნდა გამოავლინოს საქართველოს ჩემპიონი. ერთმანეთს შეხვდებიან „მეტალურგი“ (რუსთავი) — „შადრევანი“ (წყალტუბო). დასაწყისი 16 საათზე.

* * *

9 ნოემბერს შედგება ფეხბურთში საქართველოს 1985 წლის თასის გათამაშების ფინალური მატჩი.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან „იმედი“ (თბილისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). დასაწყისი 14 საათზე.

გიწვევთ საცხენოსნო კროსი

ორმოცდაათიანი წლების მიწურულს და სამოციანი წლების დასაწყისში, როცა თბილისში დელისის მიდამოები ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო, სისტემატურად ტარდებოდა შეჯიბრებები საცხენოსნო კროსში სამჭიდის პროგრამით. შემდეგ წლებში ეს მეტად საინტერესო ასპარეზობა ერთიორჯერ ლისის ტბის მიდამოებში მოეწყო. ბოლო ხანებში კი შეჯიბრებები ცხენოსნურ სამჭიდში და მის ყველაზე რთულ პროგრამაში — კროსში რესპუბლიკის რაიონებში ტარდებოდა. და აი, საქართველოს სპორტკომიტეტისა და ცხენოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის გადაწყვეტილებით ეს უაღრესად საინტერესო სანახაობა კვლავ თბილისში გაიმართება. ლისის ტბის მიდამოებში შეირჩა ახალი ტრასა, დაიდგა წინაღობები, სადაც 8 და 9 ნოემბერს საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე მხედრები საცხენოსნო კროსში იასპარეზებენ. მაყურებლებს შეუძლიათ საქალაქო მარშრუტის ავტობუსით ავიდნენ ლისის ტბაზე, საიდანაც სულ რაღაც 300 მეტრია კროსის სტარტის ადგილამდე. სამანქანო გზით კი პირდაპირ მისვლაც შეიძლება. შეჯიბრებაში საქართველოს მხედრების გარდა მონაწილეობენ ჩრდილო ოსეთისა და აზერბაიჯანის უძლიერესი ცხენოსნები.

გიწვევთ ამ უაღრესად საინტერესო ასპარეზობაზე.

სასოებით შემონახული ლეგენდა

„მარჯვნივ — კულა გლდანელი (ივანე ყირიმელაშვილი, 1858 — 1934) სახელმოხვეჭილი ქართველი ფალავანი, ქართული ჭიდაობის ტრადიციული სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი. ქართული ჭიდაობა როგორც თბილისში, ასევე საერთოდ საქართველოში, ძველთაგანვე ეროვნული სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას წარმოადგენდა".

(„ძველი თბილისი", ანოტაციიდან).

ამ ფოტოს ჩვენი მკითხველებისთვის უკვე კარგად ცნობილ წიგნში — „ძველი თბილისი" — ასეთი წარწერა აქვს: „თბილისელი ფალავნები". ფოტო 1880-იანი წლებისა.

დრო უმოწყალოდ გვაშორებს გარდასულ დღეთა ამბებს. და რა დასანანია, რომ ქართული სპორტის ისტორიაზე ერთობ მწირი მასალა შემოგვრჩა. ამიტომაა ყოველი ახალი ფოტოსურათის, დოკუმენტის და თუნდაც უმნიშვნელო ცნობის მიკვლევა დიდ სიხარულს გვანიჭებს.

ჭიდაობა საქართველოში ყველასათვის საყვარელი სპორტული სანახაობა იყო. არც ერთი დღეობა, ლხინი თუ თავშეყრა არ ჩაივლიდა ჩვენში ამ ვაჟკაცური პაექრობის გარეშე.

უძველესი საჭიდაო წრე თბილისში მთაწმინდაზე ყოფილა. საჭიდაო წრე მოწყობილი ჰქონიათ ახლანდელი პლეხანოვის პროსპექტის ბოლოშიც, იქ, სადაც ამჟამად ტრამვაელთა სახლებია. ბაღს, რომელიც უცხოელებს იჯარით ჰქონდათ აღებული, „იტალიელთა ბაღს" უწოდებდნენ.

დიდუბის ეკლესიის უკან, გრიშუას ბაღში შაბათ-კვირას ვინმე ციციშვილის თაოსნობით იმართებოდა ჭიდაობა. საჭიდაო წრე ყოფილა ელისაბედის, ამჟამად კლარა ცეტკინის ქუჩაზეც, ნაძალადევშიც, „დინამოს" სტადიონთან, ჩიხლაძეების სახერხის უკან...

კულა გლდანელი სასოებითა და სიყვარულით შემონახული ლეგენდაა. თანამედროვეთა თქმით, იგი „ნამუსიანი ვაჟკაცი იყო, მკლავმაგარი, თავისი სიტყვის პატრონი, კეთილი ზნე-ჩვეულების მქონე, გარეთ — მაგარი, ოჯახში — რბილი, მეგობრის მოსიყვარულე, შრომისმოყვარე, ჩაგრულის მომხრე, მჩაგვრელის ამლაგმავი და რაც მთავარია, ყველასათვის კეთილის მდომი"...

იქნებ ეს ლეგენდაც იყოს, ლამაზი და რომანტიკული ამბავი, მაგრამ ამბობენ, რომ კულამ, რომელიც ხშირად საქველმოქმედო მიზნებითაც ჭიდაობდა, დახმარება გაუწია უცხოეთში სასწავლებლად მიმავალ ვაჟა ფშაველას. კულას ბევრი სახელოვანი ფალავანი ჰყოლია „გალახული", მათ შორის შახნავაზელი „ფრანგი მიხაკა", ლონლაძე, ბაქოელი მილიონერის თაგიევის ფალავანი — სპარსელი ხუშტურ ბეგი, თურქი ალთი იაილულა, კახელი გაიოზა, ავლაბრელი სულხან დალაქი, დიდი მთავრის ფალავანი სოლომონ ბულიტაშვილი, ვეძისელი ყვანყვალა, მოკრივე ქარაფ ქანდოლლა, ხუნწა ფშაველი და სხვაც ბევრი.

ძველი თბილისის ფალავანთა შერკინება ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო, რომელშიც ხშირად ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. გადმოცემის თანახმად, თურქი მოჭიდავის სალი სულეიმანისა და ირაკლი კახელის (ვაჩნაძის) ბრძოლას იურისტი შალვა მესხიშვილი, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი და პოეტი ბესარიონ სხდნენ. შუამავალი მსაჯი გახლდათ „შენ დაუკარ" — ვანო ჩიბილოვი.

ნ. გუგუშვილი.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია.

7 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში — **18.10 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: საინფორმაციო გამოშვება — **20.40** და **24.40 (1)**; ევროპის ჩემპიონთა თასი კალათბურთში: „ქალგირისი" (კაუნასი) — „აკადემიკი" (ვარნა) — **21.20 (2)**.

8 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**, მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში — **17.35 (1)**.

საქართველოს ტელევიზია.

8. ნოემბერი. საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში: ფინალური მატჩი — **20.45**.

დუბლიორებიდან ძირითად შემადგენლობამდე

53-ე საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 53-ე საკავშირო ჩემპიონატის დუბლშემადგენლობათა ტურნირში სულ სხვა კანონები მოქმედებს. პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტისა და თბილისის „დინამოს" ახალგაზრდული კოლექტივები, გუნდები, რომელთა ძირითადი შემადგენლობა უძლიერესთა ექვსეულს გარეთ დარჩა. დუბლშემადგენლობა ძირითადი გუნდის რეზერვია და თუ პირველი წრის მაჩვენებლებს გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ ბელორუსიისა და საქართველოს კალათბურთელებს არც ისე ურიგო ცვლა ჰყავთ.

სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის სპორტსმენები არიან. ცსკა-ს ერთ-ერთ ღირსებად სპეციალისტები ახალგაზრდა კალათბურთელთა მაღალ ოსტატობას მიიჩნევენ და ამდენად არმიელ დუბლიორთა სატურნირო მდგომარეობა სავსებით ბუნებრივი უნდა იყოს.

აი, „ქალგირისი" მეექვსე ადგილზე კი, ერთი შეხედვით თითქოს ალოგიკური ფაქტია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მიმდინარე სეზონში მიმომხილველები საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთ ლიდერს ძირითად და სათადარიგო შემადგენლობებს შორის არსებული განსხვავებისთვის საყვედურობდნენ. სწორედ ამ განსხვავების მიზეზია ის, რომ „ქალგირისის" დუბლიორები მათთვის შეუფერებელ ადგილზე იმყოფებიან.

ასეთსავე შეფასებას იმსახურებს ლენინგრადის „სპარტაკი", რომელიც, არასრულფასოვანი რეზერვის გამო, პირველი წრის მატჩებში ფაქტიურად ერთი და იმავე შემადგენლობით გამოდიოდა.

ამბობენ, დუბლიორთა მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ძირითადი შემადგენლობის შესაძლებლობებსო. თუ ასეა, თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გულშემატკივრებს ერთგვარი ოპტიმიზმის საბაბი უნდა ჰქონდეთ.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
რტი (მინსკი)	11	10	1	893-821	21
„დინ". (თბ.)	11	10	1	833-746	21
ცსკა	11	9	2	1014-762	20
„სტ." (ვილ.)	11	8	3	778-769	19
ვეფ (რიგა)	11	6	5	815-812	17
„ქალგ." (კ.)	11	6	5	956-876	17
ასკ (კიევი)	11	5	6	828-777	16
„სტრ." (კიევი)	11	3	8	797-931	14
„სპარ." (ლ.)	11	3	8	850-871	14
„უნივ." (ტ.)	11	3	8	802-949	14
„დინ." (მ.)	11	2	9	854-928	13
„სტრ." (კუიბ.)	11	1	10	746-924	12

„ოპტიმისტურად ვარ განწყობილი"

პოლონეთის ნაკრები ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის უცვლელი მონაწილეა. წლეულს, ბელგიის ძლიერ ნაკრებთან ბრძოლაში პოლონელებმა ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზური. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ანტონი პეჩნიჩეკმა ჟურნალისტებს საინტერესო ინტერვიუ მისცა. გთავაზობთ ნაწყვეტს მათი საუბრიდან.

● **რით განსხვავდება 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ შექმნილი სიტუაცია დღევანდელი ვითარებისგან?**

— მე ახლა უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვიდრე 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ესპანეთში გაიმართა. ნაკრებში მოხვედრისათვის ამდენი პრეტენდენტი არასოდეს შეცილებია ერთმანეთს. გარდა ამისა, მუშაობისთვისაც ადრინდელზე უკეთესი პირობები გვაქვს — კლუბები ყოველნაირად გვეხმარებიან. 1982 წელთან შედარებით ჩვენი წამყვანი მოთამაშეები უფრო გამოცდილნი, ბრძოლებში გამობრძმედილნი არიან. შესარჩევ თამაშებში აღმოვაჩინეთ და დავაწინაურეთ ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელებიც — ურბანი, ტარასევიჩი.

● **თამაშების ამ სერიაში თქვენ ბევრი ფეხბურთელი გამოსცადეთ...**

— დიახ, 48 ფეხბურთელი, მათგან ნახევარმა პირველად ჩაიცვა ეროვნული ნაკრების მაისური. თუ ერთნი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, ბევრმა ვერ გაუძლო კონკურენციას. მსოფლიოს პირველობის 6 შესარჩევ მატჩში სულ 23 ფეხბურთელი მონაწილეობდა, აქედან ყველა შეხვედრაში — მხოლოდ ხუთი.

● **მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპისათვის როგორ ემზადებით?**

—16 ნოემბერს ხოჟუვის „შლონსკის" სტადიონზე იტალიის ნაკრებს მივიღებთ. ამ მატჩისთვის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა, 35 ფეხბურთელი ემზადება, ისინი, ვინც მექსიკაში გამგზავრების კანდიდატებად ითვლება. ამჯერად არ გამოვიძახებთ უცხოეთში მოთამაშე ჩვენს წამყვან ფეხბურთელებს მლინარჩიკსა და ბონეკს. ძალიან დატვირთულია ჩვენი შემდგომი პროგრამა: დეკემბერში დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები ტუნისისა და თურქეთის ნაკრებებთან, შემდეგ საწვრთნელი შეკრება ბულგარეთში, მომავალი წლის დასაწყისში იტალიაში ორ საკონტროლო მატჩს გავმართავთ. შემდეგ გველის ტურნე სამხრეთ ამერიკაში, სადაც შევხვდებით არგენტინის, ბრაზილიისა და პერუს გუნდებს.

ნაკრების ინტერესებმა მოითხოვა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის თამაშები ცოტა შეგვემჭიდროვებინა. კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ეს ჩემპიონატი 2 მაისისათვის დამთავრდეს. ამის შემდეგ ნაკრების ფეხბურთელებს უკვე საბოლოოდ მოვუყრით თავს და ერთ შეხვედრასაც გავმართავთ იმ გუნდთან, რომელიც მექსიკაში არ მიემგზავრება (ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის ან ირლანდიის ნაკრებთან). 4 მაისიდან ჩვენი ნაკრები შინ მოემზადება, მექსიკაში კი ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღით ადრე გავემგზავრებით.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 10 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 06387